ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №3746722

ნომერი: AR1561778

თარიღი : 02.12.2017

გაცემის თარიღი : 22.12.2017

გაცნობის თარიღი : 24.12.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 21 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკატერინე ოქროპირიძე პ/ნ 59001121937
- გორი თამარ მეფის ქ. N 71

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 ნოემბრის №3682659 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 02 დეკემბერს №AR1561778 განცხადებით მომართა ეკატერინე ოქროპირიძემ და მოითხოვა ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 ნოემბრის №3682659 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 ნოემბრის №3682659 ბრძანებით მოწონებულ იქნა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N21-ში არსებული შენობის ფასადზე მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების არქიტექტურული პროექტი და გაიცა უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 25 ნოემბრიდან 2018 წლის 25 აპრილის ჩათვლით.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი წარმოდგენილ იქნა 05 (ხუთი) თვეზე და სამსახურის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში შეცდომით იქნა დაფიქსირებული მშენებლობის ვადა, კერძოდ: ,,2017 წლის 25 ნოემბრიდან 2018 წლის 25 აპრილის ჩათვლით'' ნაცვლად მიეთითა ,, 2017 წლის 25 ნოემბრიდან 2017 წლის 25 აპრილის ჩათვლით''.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება და სამსახურის 2017 წლის 24 ნოემბრის №3682659 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 ნოემბრის №3682659 ბრძანებაში, კერძოდ: ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 25 ნოემბრიდან 2018 წლის 25 აპრილის ჩათვლით''.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 ნოემბრის №3682659 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 ნოემბრის №3682659 ბრძანებასთან ერთად. 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.